ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფიზიკა-მათემატიკის სკოლას შემუშავებული აქვს დოკუმენტი „შეფასების სისტემა და შიდა კონკტროლის უზრუნველყოფის მექანიზმები“. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით სკოლის შიდა კონტროლის მექანიზმებია: სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის მიმდინარეობისა და საგანმანათლებლო მიზნების შესრულების შესწავლა და შედეგების განხილვა საერთო-სასკოლო თათბირზე, პედაგოგიურ და კათედრის სხდომებზე; ღია და საჩვენებელი გაკვეთლების ორგანიზება - ჩატარება და პედაგოგთა მეთოდოლოგიებისა და გამოცდილების წარმოჩენა-განზოგადება; დაკვირვება პედაოგზე, რაც გამოიხატება; გაკვეთილზე დასწრება და მასზე დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების აღრიცხვით; რეიტინგების შედგენით - სტატისტიკური ანალიზით. ცალკეულ საგნებში მოსწავლეთა მოსწრების პერიოდული მონიტორიგი. მასწავლებელთა, მოსწავლეთა, მშობელთა და კურსდამთავრებულა მიზნობრივი გამოკითხვითა და ანკეტირებით (სკოლას შემუშავებული აქვს შესაბამისი კითხვარები). ამ კითხვარების საშუალებით სკოლა ატარებს სხვადასხვა გამოკითხვას, მოსწავლეებში, მასწავლებლებში, მშობლებსა და კურსდამთავრებულებში და იღებს კმაყოფილების საერთო, ზოგად სურათს. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო გასული სასწავლო წლის მოსწავლეთა გამოკითხვას, რომელშიც გამოკვეთილი სურვილი იყო სასწავლო გარემოს უკეთესობისკენ შეცვლა (ფიზიკური გარემო, უფრო დიდი კლასები, დიდი დაფები და ა.შ.) სკოლამ ახალ სასწავლო წელს გაითვალსწინა მოსწავლეთა ეს სურვილი და შესთავაზა განახლებული გარემო. გამოკითხვაში მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ ნაწილობრივ ეთმობოდა ყურადღება განმავითარებელ შეფასებას, აღნიშნულის მიმართულებითაც, სკოლას (მასწავლებლებს), მომცემული ჰქონდათ შემაჯამებელი დავალებების მიხედვით, თითეული მოსწავლისთვის გაცემული განმავითარებელი შეფასება შედეგების შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ტაქსონომიის მიხედვით. გარდა ამისა, სკოლის საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია ყველა მნიშვნელოვანი სიახლე და სკოლის დიკუმენტაცია, მათ შორის შეფასების სქემებიც. მშობლების კმაყოფილების კითხვარში, მშობლები გამოხატავენ კმაყოფილებას სკოლის მიმართ და მათში არ არის მოცემული რაიმეს გაუმჯობესების იდეა. მასწავლებელთა კითვარი, რომელიც მასწავლებელს ეხმარება საკუთარი თავისა და სკოლის შეფასებაში. გარდა ამისა, ყოველწლიურ გამოკითხვას ატარებს სკოლის დირექტორის მოადგილე. კათედრების პორტფოლიოების ანალიზისა და ინტერვიუს შედაგად გაირკვა, რომ სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი, რომელიც პერმანენტულად ესწრება გაკვეთლზე პედაგოგებს და შედეგ აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. გაკვეთლებზე დასწრება მიმდინარეობს სხვადასხვა მიზნით - შეიძლება იყოს დაკვირვება, ფოკუსირებული დაკვირვება და შემდეგ ხდება გაკვეთლის ერთბლივი განხილვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის დოკუმენტი 2. „შეფასების სისტემა და შიდა კონკტროლი უზრუნველყოფის მექანიზმები“. 3. კათედრების პორტფოლიოები; 4. შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; 5. გასულ სასწავლო წელს ჩატარებული გამოკითხვა (მოსწავლე, მასწავლებელი, მშბელი); 6. აღმზრდელობით დაგში სკოლის დირექოტრის მოადგილის, გასული სასწავლო წლის, მოხსენება (ანარგიში).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რჩევები:	არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.
ხარვეზები:	ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1406,70	
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლა, საკუთრების უფლებით, ფლობს ორ მიწის ნაკვეთს. ერთ მათგანზე (საკადასტრო კოდი **04.01.14.427, მიწის ნაკვეთის ფართი 1090, 00 კვ.მ.)** სასწავლო კორპუსია, მეორეზე (საკადასტრო კოდი **04.01.14.429, მიწის ნაკვეთის ფართი 474, 00 კვ.მ.)** შენობა, რომელშიც სპორტული დარბაზია. სასწავლო კორპუსი ოთხსართულიანი შენობაა. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს პირველ, მეორე და მესამე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სართულზე, საერთო ფართით 1051,48 კვ.მ. მეოთხე სართულზე სრულდება სარემონტო სამუშაოები, მთლიანად შენობის ფართია 1418,31 კვ.მ მეორე კორპუსში მოწყობილია სპორტული დარბაზი. ამ შენობასაც აქვს გასარემონტებელი სათავსოები. მთლიანად მეორე კორპუსის ფართი 311,39 კვ.მ.-ია.
ფაქტობრივი მისამართი	ქ. ფოთი, დუმბაძის ქუჩა, N99
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	**04.01.14.427** **04.01.14.429**
კვ.მ.	1729,7 (ორივე შენობის საერთო ფართი) 1564,00 (ორივე მიწის ნაკვეთის საერთო ფართი)
მტკიცებულებები/ინდიკატორები	1.ამონაწერი საჯარო რეესტრიდან; 2.საკადასტრო გეგმა; 3.აზომვითი ნახაზი; 4.ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო კორპუსის პირველ-მესამე სართულზე საერთო ჯამში 21 საკლასო ოთახია. მათგან დატვირთულია 17. დარჩენილი ოთხი საკლასო ოთახიდან სკოლა ერთს იყენებს სააქტო დარბაზის დანიშნულებით, ერთს ჭადრაკი კაბინეტად, ერთს ფიზიკ-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მათემატიკის კაბინეტად, ერთს ზედმეტი მერხების საწყობად. სკოლას აქვს შესაძლებლობა საკლასო ოთახების რაოდენობა გაზარდოს, მას შემდეგ, რაც დაასრულებს მეოთხე სართულზე სარემონტო სამუშაოებს. საკლასო ოთახები სხვადასხვა ზომისაა და 12-17 მერხის განთავსების საშუალებას იძლევა. გარდა საკლასო ოთახებისა, შენობაში ასევე არის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამედიცინო კაბინეტი, სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, რესურს ოთახი, ხელოვნება/მუსიკის კაბინეტი, სასადილო და სამზარეულო. სკოლას შეძენილი და ნაჩუქრობით მიღებული აქვს 325 ერთადგილიანი და 13 ორადგილიანი მერხი. საკლასო ოთახები მოსწავლის მერხებთან ერთად, აღჭურვილია სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებითა და სკამებით, რუკებით და სხვადასხვა თვალსაჩინოებებით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. მერხებისა და სკამების მიწოდების ხელშეკრულება და მიღება ჩაბარების აქტი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მეორე კორპუსის მეორე სართულზე მოწყობილია დიდი ზომის ოთახი სპორტული დარბაზის დანიშნულებით, ხოლო სკოლის ეზოში - მოწყობილია ფართი სპორტული მოედანის დანიშნულებით. აღსანიშნავია, რომ მოედნის საფარი მოსაწესრიგებელია (ბუნებრივი მიწიანი გრუნტია), სკოლას მიეცა რჩევა მოაწესრიგოს მოედნის საფარი. სკოლას შეძენილი აქვს სპორტული ინვენტარი: სხვადასხვა სახეობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბურთები, მაგიდა ჩოგბურთისთვის შესაბამისი ჩოგნებით, ტერფსაბჯენი, ბირთვი, ბადრო და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. სპორტული ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია ჰქონდა შენობის პირველი სართულის ერთ-ერთ ოთახში, რომელშიც ცდების სადემონსტრაციო მაგიდა, გამწოვი და სველი წერტილი მოწყობილი იყო ფანჯრის მიმდებარედ. ლაბორატორიაში არის კარადები ლაბორატორიული აღჭურვილობისთვის. ლაბორატორიული აღჭურვილობა კი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 9 აგვისტოს N572 ბრძანების შესაბამისი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. ლაბორატორიის შესყიდვის დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო. საკლასო ოთახებს აქვს ბუნებრივი განათება. სამივე სართულზე მოწყობილია სველი წერტილები პირველ სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. სველი წერტილები უზრუნველყოფილია ჰიგიენის საშუალებებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შენობაში დამონტაჟებულია და ფუნქციონირებს ცენტრალური გათბობის სისტემა. წყალი, ელექტროენერგია და გაზი მიეწოდება საქალაქო ქსელიდან, შესაბამისად საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიიდან, სს ენერგოპრო ჯორჯიასგან და სოკარისგან. სკოლას ჯერ არ ჰქონდა კომუნალური გადასახადები გადახდილი, რადგან ვიზიტის პერიოდისთვის სკოლა მხოლოდ სამი კვირის გადმოსული იყო ზემოთაღწერილ შენობაში. სკოლა წარმოადგენს დამოუკიდებელ აბონენტს და თითოეულ კომპანიასთან დადებული აქვს ხელშეკრულება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის პირველ სართულზე განთავსებულია და ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა. ბიბლიოთეკის წიგნად ფონდს წარმოადგენს 1105 ერთეული მხატვრული ლიტერატურა და გრიფირებული სახელმძღვანელოები. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას აქვს საინვენტარო წიგნი როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული სახით - ექსელის პროგრამაში სკოლას ჰყავს ბიბლიოთეკარი და ბიბლიოთეკარის თანაშემწე. მათთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერი და სამკითხველო მაგიდები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	2. საინვენტარო წიგნი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შენობის პირველ სართულზე მოწყობილი აქვს ადაპტირებული სველი წერტილი სსსმ მოსწავლეებისთვის. პირველ სართულზე შესასვლელად დამონტაჟებულია პანდუსი, ხოლო სართულებზე გადასაადგილებლად სკოლას დამზადებული აქვს ასაკეცი პანდუსი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. სკოლაში სულ 25 კომპიუტერია. კომპიუტერული კლასში განთავსებულია 15 კომპიუტერი. სკოლის საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას ასრულებს სკოლის ვებგვერდი https://potischool.ge/
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. სკოლის ვებ-გვერდი; 3. კომპიუტერების შესყიდვის დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, საევაკუაციო გეგმების მიხედვით განსაზღვრულ ადგილებში განთავსებულია ცეცხლმაქრები, იქვე გამოკრულია ცეცხლმაქრების გამოყენების ინსტრუქცია და ხანძრის შემთხვევაში შეტყობინების გაგზავნის ტელეფონის ნომერი. სკოლის პირველ სართულზე ასევე არის სახანძრო სტენდი, შესაბამისი ინვენტარით, ხოლო ყოველ სართულზე სახანძრო ონკანი, შესაბამისი სახანძრო შლანგით. სკოლას შემუშავებული აქვს სახანძრო უსაფრთხოების ინსტრუქცია
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის ყველა სართულზე, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საევაკუაციო გეგმები და საევაკუაციო გასასვლელების მაჩვენებლები. საევაკუაციო გეგმები დამზადებულია შპს „ფოთის სახანძრო დაცვის“ მიერ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მეორე სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. სკოლას ჰყავს ექთანი. სკოლას შემუშავებული აქვს „შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“. რომელიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი №41/ნ/01-23/ნ ბრძანების საფუძველზე. ექთანი აწარმოებს ჟურნალს, სადაც აღრიცხავს სამედიცინო დახმარების მიზნით მიმართვების, გაწეული პროცედურებისა და აღმოჩენილი დახმარების შესახებ ინფორმაციას, ასევე „დახარჯული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის“ და „ვადაგასული მედიკამენტებისა და სამედიცინო მასალების აღრიცხვის“ ჟურნალებს, აღსანიშნავია, რომ სკოლის სამედიცინო კაბინეტის აღჭურვა სრულად აკმაყოფილებს ზემოაღნიშნული ბრძანების მოთხოვნებს, არის სველი წერტილი, სამედიცინო ტახტი, შირმა, მაცივარი, საედიცინო კარადა და მაგიდა. სამედიცინო კაბინეტის ფართობი 9 კვ.მ.-ამდეა. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, აღნიშნული ბრძანების უკეთ დაკმაყოფილების მიძნით, სამედიცინო კაბინეტი მოაწყოს არანაკლებ 12 კვ.მ. ფართის ოთახში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. ექთანთან გასაუბრება; 3. მედიკამენტებისა და სამედიცინო საშუალებების შესყიდვის დოკუმენტაცია; 4. სააღრიცხვო ჟურნალები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში სკოლას შემუშავებული ჰქონდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი წესი და ამ წესის თანახმად განსაზღვრა უსაფრთხოებაზე პასუხიემგებელი პირი. ეს წესი ჯერ არ იყო შეთანხმებული სამინისტროსთან, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ჯერ შეეთანხმებინა სამინისტროსთან აღნიშნული წესი და შემდეგ დაემტკიცებინა. სკოლამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და გააგზავნა წერილი სამინისტროში, ვიზიტის მიმდინარეობისას. აღნიშნული წერილი გამოაგზავნა ვიზიტის დროს სკოლის მიერ გამოგზავნილ მასალებთან ერთად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის მიერ გაგზავნილი წერილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში; 2. სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. 3. ვიზუალური დათვალიერება; 4. ინტერვიუ სკოლის წარმომადგენელთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის შენობის შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხორციელდება 8 კამერის საშუალებით, ხოლო გარე სივრცის დათვალიერება ხდებოდა 11 კამერის საშუალებით. ვიდეოკონტროლი ხორციელდება შენობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პერიმეტრზე და ყველა გასასვლელზე, მათ შორის მთავარ შესასვლელზე ორი კამერით. კამერების გამოსახულებები აისახება მონიტორზე სკოლის დირექტორის კაბინეტში. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟებაექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ვიზუალური დათვალიერება; 2. კამერების შესყიდვის სასაქონლო ზედნადები; 3. საბანკო გადარიცხვა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი, დებულება. წესდებით განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მართვის წესი, ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი დებულებები. სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას, შრომითი ურთიერთობის პირობებს, შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს. დასაქმებულთა და მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს, მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს და სკოლის სტრუქტურული ერთეულების უფლება მოვალეობებსაღსანიშნავია, რომ სკოლის სტრუქტურული ერთეულების უფლება-მოვალეობები გაწერილი იყო ასევე სკოლის დებულებაში, თუმცა მცირედი სახეცვლილებითა და ზოგიერთი პუნქტის განსხვავებით. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ ერთი და იგივე სტრუქტურულ ერთეულისთვის ორივე დოკუმენტში ერთნაირი ეფლება მოვალეობები გაეწერა, რაც სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის მიმდინარეობისას მოაგვარა. გარდა ამისა, სკოლამ ცვლილებები შეიტანა მოსწავლეთა და თანამშრომელთა დისციპლინური წარმოების წესში, კერძოდ განსაზღვრა დისციპლინურ დევნაზე უფლებამოსილი პირი, განსაზღვრა პროცედურები და დისციპლინური სახდელების სისტემა უფრო გამჭვირვალე გახადა
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის წესდება; 2. სკოლის შინაგანაწესი; 3. სკოლის დებულება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავეული და დამტკიცებული აქვს 6-წლიანი (2022-2028) სტრატეგიული და ერთწლიანი (2022-2023) სამოქმედო გეგმები. სკოლა დაგეგმვისას იყენებს SWOT ანალიზის მეთოდოლოგიას. სტრატეგიული გეგმით განსაზღვრულია აქტივობები, რომელსაც სკოლა გეგმავს განახორციელოს 6-წლიანი პერიოდის განმავლობაში. მატერიალურ-ტექნიკური მიმართულებით სკოლის პრიორიტეტული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აქტივობებია ჩამოწერილი, რომელთა შორისაა ახალ შენობაში გადასვლასთან დაკავშირებული შენობის სათანადოდ აღჭურვის სამუშაოები, როგორიცაა სპორტული დარბაზისა და მოედნის მოწყობა, შენობის აღჭურვა სათანადო რაოდენობის სამეთვალყურეო კამერებით, სამედიცინო კაბინეტის მოწყობა, ლაბორატორიის მოწყობა, ადაპტირებული გარემოს მოწყობა და სხვა. ერთწლიან გეგმაში გათვალისწინებულია ანალოგიური აქტივობები. ექსპერტთა ვიზიტისთვის ნაწილი აქტივობებისა შესრულებულია სრულად, ნაწილი აქტივობებისა დაწყებულია და საჭიროებს შესრულების ბოლომდე მიყვანას. გეგმებში მითითებულია თითოეული გასატარებელი ღონისძიების შესრულების დრო ან/და პერიოდი და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. 6-წლიანი სტრატეგიული გეგმა; 2. 1-წლიანი სამოქმედო გეგმა.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას აქვს შემუშავებული "საქმისწარმოების ერთიანი წესი", რომლის მიხედვითაც ის აწარმოებს: საკადრო ბრძანებების ჟურნალს N1; საერთო ბრძანებების ჟურნალს - N2; შემოსული კორესპოდენციის ჟურნალს - N3; გასული კორესპოდენციის ჟურნალს - N4; შრომითი ხელშეკრულებების ჟურნალს - N5; ასევე ცნობების გაცემის სარეგისტრაციო ჟურნალს მოსწავლეებისთვის და თანამშრომლებისთვის ცალ-ცალკე; მოსწავლეთა ანბანური ჩაწერის წიგნს და მოსწავლეთა მოძრაობის ჟურნალს. ყველა მათგანი დანომრილია, ზონარგაყრილი და დაბეჭდილია. შესაბამის საქაღალდეებში დაცულია სათანადო აქტები და კორესპოდენციები და მათი ასლები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ბრძანებების რეგისტრაციის ჟურნალები; 2. შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 3. გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი; 4. ხელშეკრულებების სარეგისტრაციო შესაბამისი ჟურნალები; 5. საქმისწარმოების ერთიანი წესი.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სკოლას მიეცა რჩევა, მოაწესრიგოს სპორტული მოედნის გრუნტიანი საფარი
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში სულ 46 თანამშრომელია (სკოლის დირექტორის მოადგილე, ბიბლიოთეკარი და IT მენეჯერი არიან მასწავლებლებიც). სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შემუშავებულ სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელებას უზრუნველყოფს 34 პედაგოგი, მათ შორის 3 წამყვანი, 15 უფროსი მასწავლებელი, 12 უსტატუსო მასწავლებელი, 4 მასწავლებლობის მაძიებელი, 2 მოწვეული და 1 შემცვლელი. სასკოლო სასაწავლო გეგმის განხორციელებაზე ზრუნავს: დირექტორი, დირექტორის მოადგილე სასწავლო-აღმზრდელობით დარგში (მასწავლებელიც არის), ხარისხის მართვის მენეჯერი, პროექტების მენეჯერი, ბუღალტერი - საქმის მწარმოებელი, ადმინისტრატორი (ვიზიტის დროს პოზიცია ვაკანტური იყო), ბიბლიოთეკარი, ბიბლიოთეკის ლაბორანტი, სკოლის ექთანი, წესრიგის დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველოყოფის მენეჯერი, IT მენეჯერი (მასწავლებელიც არის), სამეურნეო ნაწილის გამგე, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაოკი და დამლაგებელი. თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქცია-მოვალეობა გაწერილია სკოლის დებულებაში. ანალიზის შედეგად გამოკვეთლია, რომ სკოლას ჰყავს ის ადამიანური რესურსი, რომელიც საჭიროა ეროვნული გეგმის შესაბამისი სასწავლო პროცესის წარმართვისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საშტატო განრიგი; 2. თანამშრომლეთა პირადი საქმე; 3. თანამშრომელთა ხელშეკრულებები; 4. ამონაწერი Eschool-ის ბაზიდან; 5. თანამდებობრივი ინსტრუქციები; 6. ინტერვიუ სკოლის დირექტორთან; 7. ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; 8. ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	37

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მოწვეული/მაძიებელი	1 შემცვლელი / 2 მოწვეული / 4 მაძიებელი / 12 უსტატუსო
პრაქტიკოსი მასწავლებლი	-
უფროსი მასწავლებლი	15
წამყვანი მასწავლებლი	3
მენტორის სტატუსი	

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ კანონის, ესგ-ს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტის N 174/ნ ბრძანების შესაბამისად. შერჩევის პროცესში მასწავლებლებს მოეთხოვებათ დოკუმენტების პირობების გაცნობა. სკოლაში 12 უსტატუსო და 4 მაძიებელ მასწავლებელს აქვს განსხვავებული პირობით დადებული ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მასწავლებელს ვალდებულება აქვთ ხელშეკრულების დადებიდან 2 წლის განმავლობაში დარეგისტრირდნენ და ჩააბარონ კომპეტენციის დადასტურების საგნობრივი გამოცდა. ხოლო მოწვეული მასწავლებლების კვირეული საათობრივი დატვირთვა არ აღემატება კვირაში 9 საათს. სკოლის მასწავლებლების პირად საქმეებში სრულყოფილადაა წარმოდგენილი კვალიფიკაციისა და სტატუსთან შესაბამისობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია. დიპლომი, სერტიფიკატი და CV. არ აქვთ მხოლოდ ნასამართლეობის და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობა. <u>ადმინისტრაციასთან გასაუბრებით გაირკვა, რომ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა არ აქვთ სკოლაში დასაქმებულებს და ვიზიტის პერიოდში თანამშრომლების ნაწილმა</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	გააკეთა განაცხადი, ასევე გასაუბრებით გაირკვა, რომ უახლოეს მომავალში სკოლა მოაგვარებს ამ საკითხს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. საშტატო განრიგი; 2. თანამშრომლეთა პირადი საქმე; 3. თანამშრომელთა ხელშეკრულებები; 4. ამონაწერი Eschool-ის ბაზიდან; 5. ინტერვიუ სკოლის დირექტორთან; 6. ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; 7. ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან; 8. სსიპ შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში გაკეთებული განცხადება (თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლეობის შესახებ ცნობის ასაღებად).
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში მასწავლებელთა შერჩევის წესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად, სადაც გაწერილია თანამშრომელთა შერჩევა ხდება საქართველოს განათლების სისტემაში მოქმედი კანონების და სხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საფუძველზე, შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარომდგენისა და ზეპირი გასაუბრების საფუძველზე. შინაგანაწესი არეგულირებს თანამშრომლების წახალისების ფორმებს. ასევე შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულ პირთა დისციპლინურ გადაცდომათა ნუსხას და შესაბამის დისციპლინურ სახდელებს. შინაგანაწესით გათვალისწინებულია მასწავლებლის და თანამშრომლის მიღების წესი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განხილული საკითხები ასევე გაწერილია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც ადასტურებს არსებული რეგულაციების გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. სკოლის შინაგანაწესი; 2. თანამშრომლებთან გამოფრიმებული ხელშეკრულებები; 3. ინტერვიუ სკოლის დირექტორთან; 4. ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან; 5. ინტერვიუ სკოლის თანამშრომლებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები. ვიზიტის დასაწყისში სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა კატეგორიის მასწავლებელთა ხელშეკრულებები, რომლებიც მხოლოდ სათაურით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან და ხელშეკრულებების მოქმედების ვადა 10 თვიანი იყო. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა რეკომენდაცია, გაეთვალისწინებინათ შრომის კოდექსის მე-12 მუხლის მოთხოვნები, ხელშეკრულების ვადასთან დაკავშირებით, რაც სკოლამ შეასრულა და მასწავლებლებთან დადო მათი შესაფერისი პირობების ამსახველი ხელშეკრულებები, რომლებიც ითვალისწინებს იმ ძირითად პუნქტებს, რომლებიც შრომის კოდექსის მოთხოვნითაა გათვალისწინებული. კერძოდ, გარდა მხარეთა უფლება-მოვალეობებისა, გვხვდება კუთვნილი შვებულებით სარგებლობის, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების შესახებ, შრომის ანაზღაურების, სამუშაო და დასვენების დროს შესახებ ჩანაწერი; ასევე დავების გადაწყვეტის წესისა და პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ დასაქმებულის თანხმობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	აღნიშნული ხელშეკრულებები სკოლამ გადმოაგზავნა ვიზიტის დროს გადმოგზავნილ მასალებთან ერთად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	შრომითი ხელშეკრულებები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ქვესტანდარტი დარღვეულია

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს ფოთის ფიზიკა-მათემატიკის სკოლაში შექმნილია მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და დამტკიცებულია მისი დებულება. ჯგუფი ორიენტირებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობაზე. ამ მიზნით ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს და მასწავლებლებს აძლევს განმავითარებელ შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა გაკვეთილის შეფასების სქემები და მასწავლებელზე მიცემული რეკომენდაციები. გარდა ამისა. მასწავლებლები პროფესიული განვითარების მიზნით ესწრებიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიერ დაგეგმილ და წარმოებულ სხვადასხვა ტრენინგს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	1. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის ბრძანება და დებულება; 2. გაკვეთილზე დასწრების შეფასების სქემები.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. ინტერიუს დროს მშობლები აღნიშნავდნენ, რომ მათი ნდობა სკოლისადმი ძალიან მაღალია და, რომ მათ სრულიად უსაფრთხო და დაცულ გარემოში ეგულებათ თავიაანთი შვილები. მასწავლებლებიც აღნიშნავდნენ, რომ სკოლაში თანამშრომლობის და ურთიერტპატივისცემის განსაკუთრებული გარემოა. ახალი მიღებული მასწავლებლები კმაყოფილები იყვნენ დამხვდური მასწავლებლების თანამშრომლობის ხარისხით. რაც შეეხება მოსწავლეებს, მატ ისაუბრეს სკოლის მასწავლებლების მხრიდან მუდმივ მზაობაზე მათ დასახმარებლად. ასევე აღნიშნეს, რომ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივები ხშირად მხარდაჭერილია სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	ინტერვიუები სკოლის წამომადგენლებთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

ქ. თბილისი. 24.11.2022.

(შევსების ადგილი) თარიღი
გვერდების რაოდენობა 47

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.